# საზოგადოებრივი ადვოკატი

№ 6
29 ივლისი
2010

იურიდიული დახმარების სამსახური – მთელი საქართველოსთვის


### თბილისის ბიურო – ყველაზე დატვირთული ბიურო საქართველოში




3 გვ.

### გუნდური მუშაობის პრინციპი და მომსახურების მაღალი ხარისხი



4 გვ.

### თქვენი მეგზური

როგორ და სად მივმართოთ იურიდიული დახმარების სამსახურს

4 გვ.

### იურიდიული დახმარების სამსახური

- სისხლის სამართლის საქმეზე უფასო საადვოკატო მომსახურება გადახდის უუნარო მოსახლეობისათვის;
- უფასო იურიდიული კონსულტაციები სამართალწარმოების ნებისმიერ დარგზე - სამოქალაქო და ადმინისტრაციული დავები; საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციის ფარგლებში იურიდიული დოკუმენტების მომზადება;
- იურიდიული დახმარების ბიუროები მთელი საქართველოს მასშტაბით: თბილისში, თელავში, მცხეთაში, რუსთავში, გორში, ზესტაფონში, ქუთაისში, ზუგდიდში, ფოთში, ბათუმში, ამბროლაურში, ოზურგეთში, ახალციხეში.

## საზოგადოებრივი ადვოკატები ფსიქიკურად დაავადებული ხალხის სამსახურში

***ფსიქიკური ნაკლის ან ფსიქიკურად დაავადებული პიროვნება, არის ისეთი ადამიანი, რომელსაც არ შეუძლია სრულფასოვნად გააცნობიეროს მის მიერ ჩადენილი ქმედება და ის შედეგი, რომელიც შეიძლება მოჰყვეს მის მოქმედებას. იგი ვერ აგებს პასუხს თავის საქციელზე, რა დროსაც მან შეიძლება ზიანი მიაყენოს როგორც თავის თავს, ასევე გარშემო მყოფებს. ასეთი ადამიანის ინტერესები ნებისმიერ სახელმწიფოში, მათ შორის საქართველოშიც, განსაკუთრებულად არის დაცული. ამ ადამიანებს იცავს როგორც შიდა სახელმწიფოებრივი კანონები, ასევე საერთაშორისო ნორმები.***

დანაშაულის შემთხვევაში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 21-ე მუხლით, პროცესის მწარმოებელ ორგანოს უფლება არა აქვს მიიღოს ექსპერტიზის, ბრალდებულის, განსასჯელის უარი დამცველის დანიშვნაზე, თუ პირს აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, ან ფსიქიკური დაავადება, რომელიც აძნელებს დაცვის უფლების განხორციელებას. ასეთ შემთხვევებში, თუ პირს არ ჰყავს კერძო ადვოკატი, სახელმწიფოს მხრიდან ხდება პირის იძულებით დაცვა, რასაც იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები უზრუნველყოფენ.



„იმის გამო, რომ ფსიქიკურად დაავადებული ან ფსიქიკური ნაკლის მქონე ადამიანი ვერ აცნობიერებს საკუთარ ქმედებას, წინასწარი ან სასამართლო გამოძიების ეტაპზე მან შეიძლება საკუთარი ინტერესების წინააღმდეგ იმოქმედოს, ამიტომ ჩვეულებრივი ადამიანისგან განსხვავებით, მას სისხლის სამართლის დანაშაულის დროს აუცილებლად სჭირდება

***გაგრძელება მე-2 გვ.***

## მედია და იურიდიული დახმარების სამსახური ერთ წრეში

***მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული დახმარების სამსახური რამდენიმე წელია არსებობს და საზოგადოებრივი ადვოკატების მომსახურებით უკვე საქართველოს ათასობით მოქალაქემ ისარგებლა, ბევრისთვის დღემდე მაინც უცნობია ამ სამსახურის არსებობა და მნიშვნელობა, ან ხშირად მას სხვა ადვოკატურებთან აიგივებენ... არადა, იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ ზუსტი ინფორმაციის თვითოეულ მოქალაქემდე მიტანა ნამდვილად მნიშვნელოვანია, არა მარტო იმ ადამიანებისთვის, ვისაც იურიდიული დახმარება სჭირდება, არამედ ქვეყნისთვისაც, რომელიც დემოკრატიული განვითარების გზას ადგას.***

მოსახლეობის ინფორმირების მთავარი წყარო მედიაა. სწორედ ჟურნალისტმა უნდა მიაწოდოს ინფორმაცია ადამიანებს, რათა მათ იცოდნენ საკუთარი უფლებები და გზები, როგორ და რა ხერხით დაიცვან იგი. თუმცა, იმისათვის, რომ მედიამ შეძლოს საკუთარი მოვალეობის სრულფასოვნად შესრულება, თავად უნდა იყოს კარგად გარკვეული ამა თუ იმ საკითხში.



სწორედ ამ მიზნით, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ორგანიზებით, ქობულეთში ჩატარდა სამუშაო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც ჟურნალისტებმა, ასევე საზოგადოებრივმა ადვოკატებმა - თბილისიდან, ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, იმერეთისა და აჭარის რეგიონებიდან. ღონისძიების მიზანი იყო მედიის წარმომადგენელთა ინფორმირება როგორც საზოგადოებრივი ადვოკატის შესახებ, ასევე იმ რეფორმებზე, რაც ბოლო წლებში უფასო იურიდიული დახმარების სისტემაში ხორციელდება.

გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) იურიდიული დახმარების სამსახურის გაძლიერების პროექტს 2009 წლის მაისიდან ახორციელებს. პროექტის ერთ-ერთ პრიორიტეტი უფასო იურიდიული დახმარების შესახებ საზოგადოების ინფორმირებაა, რაშიც მედიასთან პარტნიორულ ურთიერთობებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

სამუშაო შეხვედრისას იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა ირაკლი კობიძემ ისაუბრა უფასო იურიდიული დახმარების, საზოგადოებრივი ადვოკატების საქმიანობისა და სამსახურის პრიორიტეტების შესახებ. გარდა ამისა, გაეროს განვითარების პროგრამის სამართლებრივმა ექსპერტმა ნანა მჭედლიძემ ჟურნალისტებს დაცვის უფლებასა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხები გააცნო.

სამუშაო შეხვედრას უძღვებოდა ექსპერტი - თორნიკე გურული. მისი დახმარებით, სამუშაო დარბაზში, ერთ წრედ შეკრულმა ერთსა და იმავე რეგიონში მოღვაწე ჟურნალისტებმა და საზოგადოებრივმა ადვოკატებმა შეძლეს ერთმანეთის უკეთ გაცნობა და ერთობლივ პროექტებზე მსჯელობა. ორივე მხარემ აღნიშნა საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების აუცილებლობა და გამოითქვა თანამშრომლობის გაღრმავების სურვილიც.

***გაგრძელება მე-3 გვ.***

## ახალი ამბები

### პროფესიული სტანდარტები - საზოგადოებრივი ადვოკატებისთვის

ქობულეთში გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომელზეც იურიდიული დახმარების სამსახურის თანაშმრომლებმა საზოგადოებრივი ადვოკატების საქმიანობის პროფესიულ სტანდარტებს განიხილავენ. ღონისძიება ევროკავშირის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერის“ პროექტის ფარგლებში ტარდება და მიზნად ისახავს სტანდარტების აპრობაციის შედეგების შეჯერებას.

სამი დღის განმავლობაში სამუშაო შეხვედრის მონაწილეებმა საზოგადოებრივი ადვოკატების საქმიანობის პროფესიული სტანდარტების აპრობაციის შედეგებზე იმსჯელეს. სტანდარტების აპრობაცია იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროებში, თანამშრომელთა საქმიანობის ანალიზისა და ადვოკატებთან კონსულტაცის გზით, განხორციელდა.

სტანდარტების შეჯერებული ვარიანტი განსახილველად წარედგინა იურიდიული დახმარების სამუშაო ჯგუფს, რომელიც იუსტიციის სამინისტროს, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს, სასამართლოს, პარლამენტის, სახალხო დამცველის, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს აერთიანებს. საბოლოო სახეს სტანდარტების ამსახველი დოკუმენტი სწორედ აღნიშნულ სამუშაო ჯგუფთან კონსულტაციის შემდეგ მიიღებს.

დადგენილი სტანდარტები საზოგადოებრივ ადვოკატთა პრაქტიკული საქმიანობის ეთიკურ მხარეს, დასაცავ პირთან ურთიერთობას, დაცვის სტრატეგიის შემუშავებასა და სამართალწარმოების ეტაპებზე ადვოკატის როლს განსაზღვრავს. აღნიშნული დოკუმენტი ხელს შეუწყობს უფასო საადვოკატო მომსახურების ხარისხის ამაღლებას, რაც იურიდიული დახმარების სამსახურის სტრატეგიული პრიორიტეტია.

### შეხვედრა სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა უფლებების თემაზე

იურიდიული დახმარების სამსახურის ქვემო ქართლის ბიუროს თანამშრომლები სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა უფლებების თემაზე მოსახლეობასთან შეხვედრებს განაგრძობენ. მორიგი შეხვედრა ივლისში მარნეულის მუნიციპალიტეტში გაიმართა და მას, სოციალურად დაუცველ ოჯახებთან ერთად, ადგილობრივი ხელისუფლებისა და სოციალური მომსახურების სამსახურის წარმომადგენლებიც დაესწრნენ.

შეხვედრაზე საზოგადოებრივმა ადვოკატებმა მოქალაქეებს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის წესი, ბაზაში დარეგისტრირებული პირებისათვის განკუთვნილი შეღავათები და ამ საკითხებთან დაკავშირებით მათი უფლება-მოვალეობები გააცნეს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა უფასო იურიდიულ დახმარებაზე, რითაც სახელმწიფო გადახდისუუნარო მოსახლეობას უზრუნველყოფს. შეხვედრა ადგილობრივმა ტელევიზიამაც გააშუქა.

მსგავსი შეხვედრები უკვე გაიმართა დმანისში, წალკასა და თეთრწყაროში. შეხვედრები ივლისის ბოლომდე გაგრძელდება და ქვემო ქართლის სხვა რაიონებს, მათ შორის, ბოლნისს, მარნეულს, გარდაბანსა და რუსთავს მოიცავს.

### გასვლითი კონსულტაციები სტეფანწმინდაში

იურიდიული დახმარების სამსახურის მცხეთა-მთიანეთის ბიუროს თანამშრომლებმა დღეს გასვლითი კონსულტაცია სტეფანწმინდის მიმართულებით მოაწყვეს. ღონისძიების მიზანი იყო მაღალმთიანი რაიონების მოსახლეობის სამართლებრივი პრობლემების შესწავლა და საჭიროების შემთხვევაში კვალიფიციური კონსულტაციის გაწევა. მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიუროს თანამშრომლებმა - ირინე ბოხაშვილმა,

***გაგრძელება მე-3 გვ.***

# საზოგადოებრივი ადვოკატები ფსიქიკურად დაავადებული ხალხის სამსახურში

***პირველი გვერდიდან***

ადვოკატის დაცვა, რაც კანონით მკაცრად არის განსაზღვრული,“ - ამბობს იურიდიული დახმარების თბილისის ბიუროს ადვოკატი ნინო მჭედლიშვილი.

ნინო მჭედლიშვილის თქმით, ჩვეულებრივი ადამიანისგან განსხვავებით, ფსიქიკურად დაავადებულ ექჴმიტანილთან, ბრალდებულთან თუ განსასჯელთან მუშაობა ადვოკატის მხრიდან სპეციფიკურ დამოკიდებულებას მოითხოვს.

„ადვოკატი ვალდებულია შესაბამისი კონსულტაცია გაუწიოს დაავადებულ კლიენტს, სრულფასოვანი მომსახურება გაუწიოს მას და, ზოგ შემთხვევაში, თავად მიიღოს გადაწყვეტილება.

ჯანმრთელი ადამიანისგან განსხვავებით, ფსიქიკურად დაავადებულ პირთან ადვოკატის ურთიერთობა საკმაოდ სპეციფკურია - იგი უნდა დაამშვიდო, დაიახლოვო, ჩაუღრმავდე. მას სჭირდება, დაწვრილებითი და საფუძვლიანი ახსნა-განმარტება იმისათვის, რომ ზუსტად გაიგოს რა სჭირდება, როგორ მოიქცეს საგამოძიებო მოქმედებებისას. ამ კატეგორიის ადამიანებს სულ სხვა ენით სჭირდება საუბარი,“ - აცხადებს საზოგადოებრივი ადვოკატი.

როგორც ადვოკატი განმარტავს, როდესაც დამცველს საქმე აქვს ფსიქიკურად დაავადებული პატიმართან, სასამართლოზე იგი აყენებს ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დანიშვნის შუამდგომლობას. როგორც ნინო მჭედლიშვილი აღნიშნავს, ზოგჯერ მოსამართლე ამ მოთხოვნას აკმაყოფილებს. იმ შემთხვევაში თუ კლიენტი ფსიქიკურად დაავადებული აღმოჩნდება, იგი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ კანონის“ თანახმად, შესაბამის სამკურნალო დაწესებულებაში იგზავნება - თუ არა, სასჯელს ჯანმრთელ პატიმრებთან ერთად სასჯელაღსრულების დაწესებულებაში იხდის.

„მართალია, სპეციალისტები არ ვართ, მაგრამ ხშირად ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტები და მტკიცებულებები, ექსპერტიზის დასკვნაზე ეჭვის საბაბს გვაძლევს. ზოგჯერ ვთვლით, რომ დასაცავი პირი ნამდვილად არ არის ჯანმრთელი. ამ შემთხვევაში ვითხოვთ ალტერნატიულ ექსპერტიზას. მაგრამ, მოგეხსნებათ, იურიდიული დახმარების სამსახური ძირითადად სოციალურად დაუცველ ფენას ემსახურება, ჩვენს კლიენტებს კი იმის საშუალება არ აქვს, რომ განმეორებითი ექსპერტიზა დაინიშნონ, რაც დაახლოებით 5 ათასი ლარი ღირს. ეს, რა თქმა უნდა, დაცვის სრულყოფილად განხორციელებაში ძალიან დიდი პრობლემაა,“ - ამბობს ნინო მჭედლიშვილი.

მისივე თქმით, „პრობლემა იქნება მაშინაც, როდესაც დასაცავი პირი აღმოჩნდება შეზღუდული შერაცხადი. მართალია, სასჯელის დანიშვნისას, სასამართლო ამ ფაქტს იზიარებს, როგორც შემასუბუქებელი გარემოებას, მაგრამ ეს პირი სასჯელს, სჩვეულებრივად, საპყრობილეში იხდის, რაც პრობლემას უქმნის, როგორც ამ ადამიანს, ასევე მის გარშემო მყოფებს. ამიტომ, ჩვენ ფსიქიკური ნაკლის მქონე ადამიანის უფლებებს ვიცავთ, როგორც წინასწარი თუ სასამართლო გამოძიების ეტაპზე, ასევე ვცდილობთ, რომ ისინი დაწესებულებაში შესაბამის პირობებში მოხვდნენ,“ - ამბობს იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი.

გარდა სისხლის სამართლის საქმეებისა, ქართული კანონმდებლობა ფსიქიკურად დაავადებულთა უფლებებს იცავს მათ სამკურნალო დაწესებულებაში მოთავსების პროცესშიც.

უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის თანახმად, არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ 2007 წელს სასამართლოში შევიდა 322 საქმე, 2008 წელს 1295. 2009 წელს კი 171 საქმე, საიდანაც სარჩელის დაკმაყოფილებით დასრულდა 140 საქმე.

იურიდიული დახმარების სამსახურის სტატისტიკით კი, გასულ წელს იურიდიული დახმარების სამსახურმა წარმოებაში 9291 საქმე მიიღო, მათგან 12 პროცენტი სწორედ ფსიქიატრიული მკურნალობის იძულებით შეფარდების საქმეები შეადგენდა.

2010 წლის 6 თვეში ფსიქიატრიული მკურნალობის იძულებით შეფარდებისას საზოგადოებრივმა ადვოკატებმა მონაწილეობა მიიღეს 347 საქმეში. 2009 წელს დახმარება გაუწიეს სულ 404 პირს, 2008 წელს კი 354-ს.

„საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ თანახმად, არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების საქმე განიხილება დახურულ სასამართლო სხდომაზე, სადაც დასწრების უფლება აქვთ მხოლოდ პაციენტის მკურნალობის პროცესში ჩართულ პირებს, აგრეთვე იმ პირებს, რომელთა მონაწილეობაც აუცილებელია ადმინისტრაციული სამართალწარმოების უზრუნველსაყოფად. საქმის განხილვაში უნდა მონაწილეობდნენ ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელი, შესაბამისი ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის ერთი წევრი მაინც, პაციენტი და მისი ადვოკატი. თუ პაციენტს არა აქვს ადვოკატის აყვანის შესაძლებლობა, სასამართლო ვალდებულია დაუნიშნოს მას ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე. საქმის განხილვაში აგრეთვე მონაწილეობს პაციენტის კანონიერი წარმომადგენელი, ან ასეთის არარსებობისას - ნათესავი.

„არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების საქმეში ადვოკატის მონაწილეობა აუცილებელია, რათა არ დაირღვეს ადამიანის უფლება და ვიღაცის ინტერესების გამო, იგი არ აღმოჩნდეს ფსიქიატრიულ დაწესებულებაში. ადვოკატი მონაწილეობს სხდომაში და კითხვებს უსვამს როგორც დაცვის ობიექტს, ასევე მის კანონიერ წარმომადგენელს. ბოლოს კი თავის პოზიციას მოსამართლის წინაშე აყალიბებს. თუ ექიმი-ექსპერტი დებს დასკვას, რომ ეს ადმაინი ფსიქიკურად დაავადებულია, მაშინ იგი რჩება საავადმყოფოში. ადრე ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც პირადი ინტერესის გამო - მატერიალური გამორჩენის მიზნით ან როცა მოვლა არ სურდათ, ოჯახის წევრები თუ ახლობლები ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მიჰყავდათ, მაგრამ ბოლო პერიოდში ასეთი ფაქტები მინიმუმამდეა შემცირებული,“ - აღნიშნავს საზოგადოებრივი ადვოკატი და იქვე განმარტავს, რომ არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებასთან დაკავშირებით მოსამართლის ბრძანება (დადგენილება) შეიძლება გაასაჩივროს ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციამ, პაციენტმა, მისმა ადვოკატმა, კანონიერმა წარმომადგენელმა ან ნათესავმა სააპელაციო სასამართლოში ამ მუხლით დადგენილი წესით.

იმისათვის, რომ იურიდიული დახმარების სამსახურის იურისტებმა სრულფასოვნად შეძლონ ფსიქიკურად დაავადებული კლიენტის დაცვა, ისინი სისტემატურად გადიან სწავლებას და გადამზადებას სემინარებზე.

ცოტა ხნის წინ, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“, სასამართლო ფსიქიატრიის თემაზე საზოგადოებრივი ადვოკატებისათვის სემინარი ჩატარდა. ღონისძიება იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა ირაკლი კობიძემ გახსნა. სემინარს იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისისა და ქვემო ქართლის ბიუროების ადვოკატები დაესწრნენ. სწავლების ფარგლებში სასამართლო ფსიქიატრიის პროფესორმა - დიკ რაასმა საზოგადოებრივ ადვოკატებს წინასასამართლო შეფასების, არანებაყოფლობითი სტაციონირების და სხვა სამართლებრივი საკითხები გააცნო, ასევე ჰოლანდიაში დამკვიდრებული პრაქტიკა გაუზიარა. ღონისძიების დასასრულს დისკუსიაც გაიმართა.

ამასთან, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებმა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ფსიქიატრიული ექსპერტიზის სამსახურის უფროსთან დავით მაღრაძესთან ერთად იმსჯელეს ფსიქიატრიული ექსპერტიზის საკითხებზე. მათ განიხილეს ფსიქიატრიული ექსპერტიზის ისეთი საკითხები, როგორებიცაა შეზღუდული შერაცხადობა, ფსიქიკური დაავადების ხასიათის განსაზღვრა, სასამართლო პროცესზე დასწრებისა და აღქმის უნარი, პირის მიერ საქმის მწარმოებელი ორგანოსათვის სწორი ჩვენების მიცემის შესაძლებლობა, გონებრივი განვითარების განსაზღვრა, ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობა, დანაშაულის ჩადენისას ქმედების რეალურად და სრულად გაცნობიერების შესაძლებლობა.

## ფსიქიატრიული მკურნალობის იძულებით შეფარდების საქმეები

**წლის პირველ 6 თვეში ფსიქიატრიული მკურნალობის იძულებით შეფარდების საქმეების დინამიკა 2008-2009-2010 წლების მიხედვით**




**სისხლის სამართლის საქმეებისა და ფსიქიატრიული მკურნალობის იძულებით შეფარდების საქმეების თანაფარდობა 2008-2009-2010 წლების მიხედვით**




2010 წლის მონაცემი მოიცავს იანვარი – ივნისის პერიოდს

# მედია და იურიდიული დახმარების სამსახური ერთ წრეში

***პირველი გვერდიდან***

**იურიდიული დახმარების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობების მენეჯერი გიორგი სელიმაშვილი:** როდესაც უფასო იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობაზე ვსაუბრობთ, მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ, შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ადამიანური რესურსების მობილიზების გარდა, აუცილებელია ზრუნვა საზოგადოების ინფორმირებაზე ამგვარი დახმარებით სარგებლობის უფლების შესახებ. სხვაგვარად ძნელი იქნება უფასო იურიდიული დახმარების სისტემის რეფორმა განხორციელებულად ჩავთვალოთ. ამიტომაც, იურიდიული დახმარების სამსახური საზოგადოებასთან კომუნიკაციას მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს.

წლის დასაწყისში, როდესაც საზოგადოებრივი აზრის კვლევა ჩავატარეთ, იურიდიული დახმარების შესახებ ინფორმაციის ძირითადი წყაროები დავადგინეთ. როგორც აღმოჩნდა, მომხმარებელთა 45 პროცენტისათვის ინფორმაციის წყაროს ახლობელ-ნაცნობები წარმოადგენენ. მედიის წილი კი მხოლოდ 6 პროცენტს შეადგენდა.

ეს საკმაოდ დამაფიქრებელი შედეგი იყო, რადგან ორგანიზაციების უმრავლესობისათვის, ვინც კი ცნობადობის ამაღლების მიმართულებით მუშაობს, აბსოლუტურ პრიორიტეტს მედია და მისი მეშვეობით ფორმირებული იმიჯი წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, ჩვენ აუცილებლად მივიჩნიეთ ჟურნალისტებთან უფრო მჭიდრო ურთიერთობების ჩამოყალიბება და ქობულეთში შემდგარი სამუშაო შეხვედრა სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა.

მინდა აგრეთვე აღვნიშნო ისიც, რომ საქმიანი და სამუშაო შეხვედრის ფონზე არაჩვეულებრივი პირობები იყო შექმნილი, რამაც კიდევ უფრო მეტად შეუწყო ხელი სხვადასხვა რეგიონების ჟურნალისტებთან და ადვოკატებთან დაახლოებას.

ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსი გიორგი ჭვინაშვილი: შეხვედრამ ჩაიარა ნაყოფიერად. მიზანი, რასაც ჟურნალისტებთან შეხვედრა ემსახურებოდა, სრულად იქნა მიღწეული - მოხდა იურიდიული დახმარების სამსახურის პრეზენტაცია, სტატისტიკის გაცნობა და, რაც მთავარია, მივაღწიეთ „სახაზინო ადვოკატთან“ დაკავშირებული ნეგატიური სტერეოტიპის ნგრევას. თამამად შეძლება ითქვას, რომ ჟურნალისტებმა სრულად აღიქვეს და გააცნობიერეს იურიდიული დახმარების სამსახურის ფუნქცია, მისი შექმნის მიზანი და ის ფაქტი, რომ, მომსახურების უსასყიდლობასთან ერთად, იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობის განმსაზღვრელი ელემენტია თანამშრომელთა კვალიფიციურობა და პროფესიონალიზმი.

უშუალოდ ქვემო ქართლის ბიუროსათვის ამ შეხვედრამ უკვე გამოიღო ის კონკრეტული შედეგი, რომ მარნეულის ტელევიზიამ, რომლის წარმომადგენელიც ამ შეხვედრას ესწრებოდა, გააშუქა ჩვენ მიერ მარნეულის მუნიციპალიტეტში ორგანიზებული გასვლითი კონსულტაცია, რაც სასიამოვნო ფაქტია და იმედს იძლევა, ჩვენი ბიუროს სხვადასხვა აქტივობების ადგილობრივი ტელევიზიით გაშუქება მომავალშიც მოხდეს.

მუშაობის შესახებ ინფომაციას და ის დამოკიდებულება რაც სახაზინო ადვოკატების მიმართ გახლდათ, უახლოეს მომავალში შეიცვლება. ზოგადად ვფიქრობ, რომ აუცილებელია ასეთი შეხვედრები, მეტი კომუნიკაცია ჟურნალისტებსა და ნებისმიერი სფეროს წარმომადგენელს შორის, იმისთვის, რომ საზოგადოებას უფრო მეტი და ამომწურავი ინფორმაცია მივაწოდოთ. ამიტომ, ამ შეხვდრისთვის დიდ მადლობას მინდა გადავუხადო, გაეროს განვითარების პროგრამას, იურიდიული დამხარების სამსახურის თანამშრომლებს და ჩემს კოლეგებს. ასევე ექსპერტ - თორნიკე გურულს, რომელმაც მოახერხა, რომ საქმიანი შეხვედრა, ბევრი ლოგიკური და მხიარული თამაშით ყოფილიყო დატვირთული, რამაც შეხვერდა უფრო საინტერესო გახადა.

**ანი მიროტაძე: საინფორმაციო სააგენტო „პირწელის“ ხელმძღვანელი:** ამ ტიპის შეხვედრები პირველ რიგში ხელს უწყობს საზოგადოების ინფორმირებულობას და აღნიშნული სამსახურის დანიშნულების და უფლება-მოვალეობების კარგად გააზრებას. „საზოგადოებრივი ადვოკატის“, მისი ფუნქციებისა და საქმიანობის შესახებ საზოგადოებამ ცოტა რამ იცის და ეს არის ფაქტი. მე მიმაჩნია, რომ ამ სამსახურის ჩამოყალიბება და ფუნქციონირება პრინციპულად მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვის, ვინაიდან მოქალაქეებმა უნდა იცოდნენ საკუთარი უფლებები და უნდა გაუჩნდეთ იმის რწმენა, რომ მათ უსაფრთხოებას და მოქალაქეობრივ უფლებებს საკუთარი სახელმწიფო







სემინარზე

იცავს.

ჩემი აზრით, ამ სამსახურის გამართულად მუშაობისათვის ფუნდამენტურ აუცილებლობას წარმოადგენს მათი საქმიანობის შესახებ ინფორმაციების მაქსიმალურად ტირაჟირება. სემინარის მიმდინარეობის დროს კარგად გამოჩნდა ის ხარვეზები, რომელიც საზოგადოებასთან კომუნიკაციის მიმართულებით არსებობს. ამიტომ, გამოყენებული უნდა იყოს ყველა გზა და შესაძლებლობა, ყველა ბერკეტი და ინსტიტუტი, რომელიც გაადვილებს საზოგადოებამდე მათი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიტანას და იმის ახსნას, რომ ეს სამსახური ხალხის, რიგითი მოქალაქეების დახმარებისთვის და მათი უფლებების დაცვისათვის შეიქმნა. ასევე, პრინციპულად მნიშვნელოვანია „საზოგადოებრივი ადვოკატის“ შემადგენლობაში პროფესიონალი კადრების არსებობა, რადგან მათმა არაპროფესიონალიზმმა შესაძლოა, ამ ძალიან მნიშვნელოვანი სამსახურის იმიჯი შელახოს, რაც ხალხის თვალში ნდობის დაკარგვას გამოიწვევს.

ვფიქრობ, ვორკშოპმა კარგი შედეგები მოგვცა. განსაკუთრებით ჩვენს რეგიონულ ოფისებსა და ადგილობრივ მედიას შორის პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბების თვალსაზრისით. ჩვენი ბიუროები რეგულარულად მართავენ სხვადასხვა ღონისძიებებს და, ვფიქრობ, ადგილობრივი ჟურნალისტებისათვის ეს საინტერესო იქნება.

ალსანიშნავია, რომ გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით მსგავსი ღონისძიება მომავალშიც გაიმართება და იმ რეგიონების ჟურნალისტებსაც მოიცავს, ვინც ამჯერზე სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა ვერ მოახერხეს.

**იურიდიული დახმარების იმერეთის-ქუთაისის ბიუროს ადვოკატი მერაბ წულაია:** ეს შეხვედრა ძალიან კარგ ატმოსფეროში წარიმართა, რამაც ხელი შეუწყო ჟურნალისტებსა და ადვოკატებს შორის ურთიერთობის გაღრმავებას და ერთმანეთის უკეთ გაცნობას. საინტერესო და შთამბეჭდავი იყო ექსპერტების, ქალბატონ ნანა მჭედლიძისა და ბატონ თორნიკე გურულის მოხსენებები სხვადასხვა სამართლებრივ საკითხებზე.

**ლანა ბერიძე - გაზეთი რეზონანსის კორესპონდენტი:** მიმაჩნია, რომ მსგავსი ტიპის შეხვედრები, როგორიც ქობულეთში, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ორგანიზებით ჟურნალისტებსა და საზოგადოებრივ ადვოკატებს შორის შედგა ძალიან მნიშვნელოვანია.

გარდა იმისა, რომ ჟურნალისტებს მოგვეცა საშუალება, იურიდიული დახმარების სამსახურის უფროსს ირაკლი კობიძეს გავსაუბრებოდით და დაგვესვა მისთვის ყველა არსებული შეკითხვა და გვესუბრა ღიად ყველა პრობლემაზე, ასევე გავიცანით იურიდიული დამხარების ბიუროების წარმომადგენლებს, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მანმადე ჩვენ მათი საქმიანობის შესახებ ძალიან მცირე ინფორმაციას ვფლობდით. შეხვედრის ფარგლებში მოხერხდა, ის რომ ჟურნალისტებს აღარ გვაქვს დამოკიდებულება, თითქოს საზოგადოებრივი ადვოკატი ისევ სახაზინო ადვოკატის ფუნქციას ასრულებს და რომ მათთვის მიმართვას აზრი არ აქვს, ამ სტერეოტიპის დასხვრევას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ჩვენი საშუალებით, საზოგადოება მიიღებს მათი

## ახალი ამბები

***მეორე გვერდიდან***

ცირა გამცემლიძემ, გვანცა გუგეშაშვილმა და ზაქრო გვიშიანმა კონსულტაცია კობის, ყანობის, ხურთისის, გორისციხის, ფხელშეს, ტყარშეთის, ვარდისუბნის, სიონის, გარბანის, არშის, აჩხოტის, სნოს, ახალციხის, გერგეთისა და სტეფანწმინდის მოსახლეობას გაუწიეს. აქტუალური საკითხების უმრავლესობა სამოქლაქო სამართლის სფეროს ეხებოდა.

ალსანიშნავია, რომ მცხეთა-მთიანეთის ბიურო გასვლით კონსულტაციებს რეგულარულად მართავს. მიმდინარე წელს ამგვარი ღონისძიებები მცხეთის, გუდაურის, დუშეთისა და ჟინვალის მიმართულებითაც განხორციელდა. გარდა ამისა, ბიუროს თანამშრომლები უფროსკლასელი მოსწავლეებისათვის აწყობენ სემინარებს, სადაც ვრცლად ესაუბრებიან სხვადასხვა თემების, მათ შორის, ნარკომანიის, ბავშვთა უფლებების, ასევე სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების შესახებ.

### გამარჯვებული სტუდენტები

იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა - ირაკლი კობიძემ ის სტუდენტები დააჯილდოვა, რომლებმაც სტაჟირების ექვსთვიანი პროგრამა გაიარეს და საადვოკატო საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები შეიძინეს. დაჯილდოების ცერემონია ბათუმის შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა და მას ის საზოგადოებრივი ადვოკატებიც დაესწრნენ, რომლებიც სტაჟირების პერიოდში სტუდენტებს ხელმძღვანელობდნენ.

დაჯილდოებას წინ უძღოდა იმიტირებული სასამართლო პროცესი, რომელზეც სტაჟიორებმა სისხლის სამართლის საქმის წარმოების პრაქტიკული უნარ-ჩვევები, სამართლებრივ დოკუმენტებზე მუშაობის გამოცდილება და თეორიული ცოდნა წარმოაჩინეს. პროცესზე განიხილეს საქმე, რომელიც ყაჩაღობის ფაქტს ეხებოდა. ჯგუფებად დაყოფილმა სტუდენტებმა ადვოკატის, პროკურორისა და მოსამართლის როლები შეასრულეს. საუკეთესო შედეგის მქონე სტაჟიორებმა, სერტიფიკატებთან ერთად, სამსახოვრო პრიზებიც მიიღეს.

იურიდიული კლინიკის პროგრამის მიხედვით, სტაჟიორები რეალურ კლიენტებს ხვდებოდნენ და კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით სხვადასხვა სამართლებრივ დოკუმენტებს ამზადებდნენ. გარდა ამისა, მათ სასამართლოს, პროკურატურის, სასჯელაღსრულებითი დაწესებულებებისა და სხვა ორგანოების მონახულების საშუალებაც ეძლეოდათ. ალსანიშნავია, რომ გასულ წელს სამი წარმატებული სტაჟიორი იურიდიული დახმარების სამსახურში დასაქმდა.

იურიდიული კლინიკების პროექტში, უკვე მეორე წელია, ჩართულია თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის, ქუთაისის ა. წერეთლის სახელობის და ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტები. წელს იურიდიული დახმარების სამსახურში სტაჟირება აღნიშნული უმაღლესი სასწავლებლების სამართალმცოდნეობის სამაგისტროს პროგრამის 30-მდე სტუდენტმა გაიარა. პროექტი „ღია საზოგადოება - სამართლებრივი ინიციატივის“ (OSJI) ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

**რეგიონი**

# თბილისის ბიურო – ყველაზე დატვირთული ბიურო საქართველოში

30-მდე ადვოკატი, 2 კონსულტანტი და 1 სპეციალისტი - ეს ის შემადგენლობაა, რომლითაც თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო დედაქალაქის მოსახლეობას უფასო მომსახურებას უწევს და მადლიერი კლიენტებიც უხვად ჰყავს. „პროფესიონალები, პატიოსნები, პასუხისმგებლობიანები და საქმის ერთგულები,“ - ასე აფასებენ თბილისის ბიუროს თანამშრომლებს ის ადამიანები, ვისაც კი მათთვის დახმარებისთვის მიუმართავს.

თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო 2005 წლის ივლისიდან მოქმედებს. ეს ის ბიუროა, სადაც, თავის დროზე, სამართლებრივი დახმარების ახალი სისტემის პილოტირება დაიწყო.

თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო იურიდიული დახმარების სამსახურის უმსხვილესი ოფისია, რომელზეც, სტატისტიკურად, საზოგადოებრივ ადვოკატთა წარმოებაში მიღებული საქმეების თითქმის 1/3 მოდის. ამავე სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მარტო 2009 წელს ბიუროს ადვოკატებმა მონაწილეობა მიიღეს 2972 სისხლის სამართლის საქმეზე. კონსულტანტებმა კი სამართლებრივი დახმარება 1490 მოქალაქეს გაუწიეს და 183 იურიდიული დოკუმენტი შეადგინეს.

2010 წლის პირველ ექვს თვეში იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიურომ სულ აწარმოა 1738 სისხლის სამართლის საქმე, რაც მთლიანად სამსახურის მიერ წარმოებული საქმეების 35 პროცენტს შეადგენს. 73 საქმეში მოხდა არასრულწლოვანთა დაცვა. 1113-მა მოქალაქემ მიიღო უფასო იურიდიული კონსულტაცია, რაც სამსახურის მიერ გაწეული კონსულტაციების 22 პროცენტია. კონსულტაციების ფარგლებში მომზადდა 95 სამართლებრივი დოკუმენტი.

უკვე მეორე წელია თბილისის ბიუროს ბაზაზე იურიდიული კლინიკის პროექტი ხორციელდება. პროექტის ფარგლებში თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროში სტაჟირებას

***გაგრძელება მე-4 გვ.***



## თქვენი მეგზური

*იურიდიული დახმარების სამსახურის მიმართვის წესები:*

* სისხლის სამართლის საქმეზე საზოგადოებრივი ადვოკატის დანიშვნის თხოვნით იურიდიული დახმარების სამსახურს შეგიძლიათ მიმართოთ პირადად, ახლო ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით.

*ვინ შეიძლება ისარგებლოს საზოგადოებრივი ადვოკატის მომსახურებით?*

* კანონით დადგენილი წესით იძულებით დაცვას დაქვემდებარებულმა ყველა დაკავებულმა, ეჭვმიტანილმა, ბრალდებულმა, მსჯავრდებულმა და დაზარალებულმა.

* იმ დაკავებულმა, ეჭვმიტანილმა, ბრალდებულმა, მსჯავრდებულმა და დაზარალებულმა, რომელიც ამავე დროს „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" რეგისტრირებული ოჯახის წევრია და მისი სარეიტინგო ქულა შეადგენს: 1) 70 ათასს ან ნაკლებს; 2) 100 ათასს და ნაკლებს, და მიეკუთვნება ქვემოთ ჩამოთვლითაგან ერთ-ერთ კატეგორიას:

ა) იმ მრავალშვილიანი ოჯახის წევრი, რომელსაც ჰყავს 3 ან მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი;

ბ) ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი;

გ) 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი;

დ) მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სრულწლოვანი პირი;

ე) მკვეთრად, მნიშვნელოვანად ან ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი, თუ შესაძლებლობის შეზღუდვა მიმდინარეობს ბავშვობიდან;

ვ) 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი ბავშვი;

ზ) რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესიის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირი.

* განსაკუთრებულ შემთხვევებში, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორს უფლება აქვს თანხმობა განაცხადოს საზოგადოებრივი ადვოკატის დანიშვნაზე იმ პირისათვის, რომელიც არ აკმაყოფილებს ზემოთაღნიშნულ კრიტერიუმებს, მაგრამ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაშია და ვერ გაწევს საადვოკატო მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

*უფასო იურიდიული კონსულტაცია:*

იურიდიული დახმარების ბიუროებსა და საკონსულტაციო ცენტრებში უფასო იურიდიული კონსულტაციის მიღება შეუძლია საქართველოში მცხოვრებ ნებისმიერ პირს ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე, როგორც სისხლის სამართლაზე, ასევე სამოქალაქო და ადმინისტრაციული დავებისას. კონსულტანტები მოქალაქეებს მისვლის დღესვე მიიღებენ.

საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციის ფარგლებში შესაძლებელია იურიდიული დოკუმენტების მომზადება.

**იურიდიული დახმარების სამსახურის მისამართებია:**

**თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო**
მის: სარაჯიშვილის გამზ. №1, მე-3 სართ
ტელ: 8(32) 623324;

**კახეთის იურიდიული დახმარების ბიურო**
მის: თელავი, ერეკლე II გამზ. №8
ტელ: 8 (250) 71538;

**მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიურო**
მის: მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. №51
ტელ: 8(32) 513873;

**ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიურო**
მის: რუსთავი, ბათუმის ქ. №17,
ტელ: +995(24) 15-77-22

**შიდა ქართლის იურიდიული დახმარების ბიურო**
მის.: გორი, სამეფოს ქ. №54
ტელ: 8 (270) 79556 8(95) 901704

**იმერეთის-ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიუროს**
მის: ზესტაფონი, წერეთლის ქ. №11
ტელ: 8 (292) 40250;

**იმერეთის-ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიურო**
მის: სადგურის მოედანი №3
ტელ: 8 (231) 5-34-11

**სამეგრელოს-ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიურო**
მის: ზუგდიდი, კოსტავას ქ. №24
ტელ: 8 (215) 53472;

**სამეგრელოს-ფოთის იურიდიული დახმარების ბიურო**
მის: ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. №37
ტელ: 8 (293) 43332;

**აჭარის იურიდიული დახმარების ბიურო**
მის.: ბათუმი, წერეთლის შესახვევი №6
ტელ: 8 (88 222) 31799;

**სამცხე-ჯავახეთის იურიდიული დახმარების ბიურო**
მის: ახალციხე, თაბუკაშვილის №17
ტელ: 891 115571

**ამბროლაურის საკონსულტაციო ცენტრი**
მის: ამბროლაური, აღმაშენებლის ქ. №24
ტელ: 895 308847

**ოზურგეთის საკონსულტაციო ცენტრი**
მის.: ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1, მე-3 სარ.
ტელ: 8(296) 73824

**იურიდიული დახმარების სამსახური**
რუსთაველის №30, თბილისი 0146, საქართველო
ტელ: (+995 32) 988493; 932090
ფაქსი: (+995 32) 988493
info@legalaid.ge; www.legalaid.ge

**რეგიონი**

# თბილისის ბიურო – ყველაზე დატვირთული ბიურო საქართველოში

*მესამე გვერდიდან*

გადიან თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრატურის სტუდენტები.

იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროსთან არსებულ იურიდიულ კლინიკაში სტუდენტები სტაჟირებას გადიან.

სტაჟიორები, რომლებიც საჯაროდ გამოცხადებული კონკურსის შედეგების მიხედვით შეირჩევიან, სისხლის სამართლის საქმის წარმოების პრაქტიკულ ასპექტებს და ადვოკატის უნარ-ჩვევებს სწავლობენ. ეცნობიან საქმის მასალებს, ამზადებენ სამართლებრივი დოკუმენტების პროექტებს, კანონმდებლობით განსაზღვრული შესაძლებლობების ფარგლებში, საზოგადოებრივ ადვოკატებთან ერთად და მათი ზედამხედველობით, იღებენ მონაწილეობას სისხლის სამართლის პროცესში. საქმეებზე მუშაობის პარალელურად, სტაჟიორებს შესაძლებლობა ეძლევათ, თეორიული ცოდნა გაიღრმავონ კლინიკაში დაგეგმილ სემინარებზე. პროგრამის დასრულების შემდეგ კი წარმატებულ სტაჟიორები სერტიფიკატებით ჯილდოვდებიან. სამსახურში ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში კი თანამდებობაზე უკონკურსოდ დანიშვნის შესაძლებლობა ეძლევათ.

მიუხედავად დატვირთული სამუშაო გრაფიკისა, თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს იურისტები, იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ საზოგადოების ინფორმირების პროცესში აქტიურად მონაწილეობენ. ისინი პერიოდულად აწყობენ შეხვედრებს თბილისის სხვადასხვა რაიონის მოსახლეობასთან და მათთვის პრობლემატურ საკითხებზე რჩევა-დარიგებებს გასცემენ. თბილისის ბიუროში დასაქმებულმა საზოგადოებრივმა ადვოკატებმა და კონსულტანტებმა, ცოტა ხნის წინ, დევნილთა რამდენიმე კომპაქტურ დასახლებაში გასვლითი კონსულტაცია ჩაატარეს. გარდა ამისა, ისინი ჩაერთვნენ და მონაწილეობა მიიღეს ისეთ მასშტაბურ აქციაში, როგორიც იყო "ანგარიში ხალხს" და თბილისის მოსახლეობას უფასო სამართლებრივი დახმარების მიღების შესაძლებლობები გააცნეს.

თბილისის ბიუროს ადვოკატებმა მოაწყვეს ლექციები დედაქალაქის №73 და №53 საჯარო სკოლებში. სკოლებში ვიზიტის მიზანი იყო უფროსკლასელი მოსწავლეების ინფორმირება იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობისა და არასრულწლოვნებისთვის აქტუალური სამართლებრივი საკითხების შესახებ. ბიუროს თანამშრომლებმა მოსწავლეებს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებლობასთან დაკავშირებული საკითხები და მოწმის უფლებები გააცნეს. არასრულწლოვნებმა განსაკუთრებული ინტერესი ცივი იარაღის ტარებისა და ნარკოტიკების შეძენა-შენახვის სამართლებრივი შედეგების მიმართ გამოიჩინეს. საზოგადოებრივმა ადვოკატებმა მოსწავლეთა შეკითხვებს უპასუხეს და საინფორმაციო ბუკლეტები დაარიგეს.

გარდა ამისა, ჩატარდა გასვლითი კონსულტაცია თბილისის გარეუბნის - ხევძმარის დასახლების მოსახლეობასთან. ბიუროს თანამშრომლებმა ადგილზე შეისწავლეს მოსახლეობის პრობლემები და სამართლებრივი გზებით მათი გადაჭრის შესაძლებლობებზე ისაუბრეს. მოქალაქეებს დაურიგდათ საინფორმაციო ბუკლეტები ეჭვმიტანილისა და მოწმის უფლებების, მემკვიდრეობის, პენსიის დანიშვნის, უძრავი ქონების რეგისტრაციის, მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების, ასევე სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირების შესახებ.

## გუნდური მუშაობის პრინციპი და მომსახურების მაღალი ხარისხი

**„ჩვენ გუნდური პრინციპით ვმუშაობთ. რაც მთავრია, მიუხედავად ზედმეტად დატვირთულობისა, ჩვენი ბიუროს თანამშრომლების მომსახურების ხარისხი არ ეცემა. ჩემი თანამშრომლები ყველა საქმეს ბოლომდე მიყვებიან და ერთგულად და პატიოსნად ემსახურებიან მოქალაქეებს,"** - აცხადებს თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ხელმძღვანელი იმედა ბეროშვილი.



მისი აზრით, იურიდიული დახმარების სამსახურის არსებობის აუცილებლობა საზოგადოების მოთხოვნილებამ განაპირობა. იმედა ბეროშვილის განმარტებითვე, პრაქტიკამ აჩვენა, რომ ამ სამსახურის არსებობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და ის არ ატარებს ფორმალურ ხასიათს. **„ვფიქრობ, რომ იურიდიული დახმარების სამსახურმა სრულად აითვისა ქვეყანაში არსებული სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ფენა. შედეგებიც დამაკმაყოფილებელია,"** - ამბობს იმედა ბეროშვილი.

მისივე განმარტებით, მოქალაქეები ძალიან ხშირად კონსულტაციებს სესხისა და იპოთეკის საკითხებზე, ასევე სამშენებლო კომპანიებთან წარმოშობილ დავებზე ითხოვენ. აქტუალურია ასევე მემკვიდრეობისა და ქონებრივი დავების, განქორწინების საკითხები.

თბილისის იურიდიული ბიუროს ხელმძღვანელის თქმით, დედაქალაქის მოსახლეობის მოთხოვნილება, მიიღოს ბიუროს თანამშრომელთა უფასო იურიდიული დახმარება, იმდენად დიდია, რომ ბიუროს თითოეულ ადვოკატს, ხშირად, ერთდროულად წარმოებაში 30-40 საქმე აქვს.

რაც შეეხება კონსულტაციებს, ყოფილა შემთხვევები, როდესაც ბიუროს ორ კონსულტანტს სამი დღის განმავლობაში ასამდე საკონსულტაციო მიღება ჰქონდა.

ბიუროს უფროსის თქმით, საინფორმაციო სარეკლამო კამპანიამ სერიოზული ზეგავლენა მოახდინა მისი თანამშრომლების ცნობადობაზე.

## ბიუროს თანამშრომელთა წარმატებული საქმეები

### ეჭვმიტანილის მიმართ სამართლებრივი დევნა შეწყდა

თბილისის ბიუროს ადვოკატის თამარ გაჩეჩილაძის ძალისხმევით, თაღლითობაში ეჭვმიტანილი ბ. ტ.-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა. ეჭვმიტანილს, რომელსაც სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, სასჯელის სახით ჯარიმა ან ოთხიდან შვიდ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, ბრალად ედებოდა მოქალაქე ქ. ფ.-სათვის თაღლითური გზით 390 ლარის გამოძალვა.

როგორც საზოგადოებრივმა ადვოკატმა თამარ გაჩეჩილაძემ საქმის მასალებიდან გაარკვია, ბ. ტ. საცხოვრებელ ბინებში ბუნებრივი აირის გაყვანილობის მონტაჟს აწარმოებდა. მან თავისი მომსახურება დაზარალებულ მოქალაქესაც შესთავაზა და თანხაც წინასწარ გამოართვა, მაგრამ შესაბამისი სამუშაოები არ შეასრულა და მიიმალა. თუმცა საზოგადოებრივმა ადვოკატმა შეძლო იმის დასაბუთება, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფს თანხის მისაკუთრების განზრახვა არ ამოძრავებდა.

დაკითხვისას ბ. ტ.-მ უარყო თანხის გამოძალვის განზრახვა, ხოლო ჩადენილი ქმედება ფინანსური პრობლემებით ახსნა. როგორც აღმოჩნდა, ბანკთან გართულებული ურთიერთობების გამო, მას მოუწია ბინის გაყიდვა, რამაც ხელი შეუშალა ქ. ფ.-სთვის მიცემული პირობის შესრულებაში. გარდა ამისა, ეჭვმიტანილმა დაზარალებულს სრულად აუნაზღაურა მიყენებული ზარალი, რაც ქ. ფ.-მაც დაადასტურა. საბოლოოდ, საქმეზე წინასწარი გამოძიება და ბ. ტ.-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა.

### მსჯავრდებული სასჯელის მოხდისგან გათავისუფლდა

მსჯავრდებულ თ. კ.-ის ინტერესებს თბილისის საქალაქო სასამართლოში, თბილისის ბიუროს ადვოკატი ირაკლი მირცხულავა იცავდა. თ. კ.-ს ჩადენილი ყაჩაღობისათვის სასჯელის სახით 6 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა. თუმცა, სასჯელის მოხდა, შვილის 5 წლის ასაკის შესრულებამდე, გადაუვადდა.

საზოგადოებრივმა ადვოკატმა ირაკლი მირცხულავამ მოიპოვა მნიშვნელოვანი მტკიცებულებები, რომელთა საფუძველზეც თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიას შუამდგომლობით მიმართა და თ. კ.-ის გადავადებული სასჯელის მოხდისგან გათავისუფლება მოითხოვა. სასამართლოში აღნიშნული შუამდგომლობის განხილვისას, საზოგადოებრივმა ადვოკატმა ყურადღება გაამახვილა რამდენიმე ფაქტორზე, რომელიც მსჯავრდებულის კეთილსინდისიერებაზე, საზოგადოებაში მის წარმატებულ ინტეგრაციასა და მძიმე სოციალურ პირობებზე მეტყველებდა.

ადვოკატის მტკიცებით, მსჯავრდებული მრავალშვილიანი დედა სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის ერთადერთი მარჩენალი იყო. ის პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას და სისტემატიურად ცხადდებოდა თბილისის პრობაციის ბიუროში. გარდა ამისა, მას არ ჩაუდენია ახალი დანაშაული. საბოლოოდ, სასამართლომ დააკმაყოფილა საზოგადოებრივი ადვოკატის შუამდგომლობა და მსჯავრდებული თ. კ. განაჩენით გადავადებული სასჯელის მოხდისგან გაათავისუფლა.

### შემსუბუქებული სასჯელი

საზოგადოებრივი ადვოკატი მევლუდ ჯანჯღავა, ყაჩაღობის ბრალდებით გასამართლებული შ.ძ-ს საქმეში იმ დროს ჩაერთო, როცა საქმეს უკვე სააპელაციო სასამართლო განიხილავდა. ადვოკატის მიერ დაყენებული შუამდგომლობების საფუძველზე, მსჯავრებულისთვის წარდგენილი ბრალდება - ყაჩაღობა, რომლის გამოც მას 10-წლიანი პატიმრობა ჰქონდა მისჯილი, უფრო მსუბუქ ბრალდებაზე გადაკვალიფიცირდა და მას სასჯელი შეუმსუბუქდა.

ადვოკატ მევლუდ ჯანჯღავას დახმარებითვე, ქურდობაში ბრალდებული კ.მ. რომელისთვისაც სახელმწიფო ბრალდება 3 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთას მოითხოვდა, პირობითი მსჯავრით სასამარლო დარბაზიდან გათავისუფლდა.

### შეწყვეტილი სისხლის სამართლებრივი დევნა

ადვოკატ ლაშა კიტიას დახმარებით, არასრულწლოვანი შ.ლ, რომელიც 6 ლარის ღირებულების ნაყინის ქურდობაში იყო ეჭვმიტანილი, სისხლის სამართლებრივ დევნას გადაურჩა. საზოგადოებრივი ადვოკატის მონდომებით, არასრულწლოვანის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე წინაწარი გამოძიების ეტაპზე შეწყდა.

Published with financial support of the United Nations Development Programme (UNDP)
The views expressed in this publication are those of the authors and do not necessarily represent those of the United Nations or UNDP.
გამოცემულია გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით.
წინამდებარე გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და არ ასახავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ან გაეროს განვითარების პროგრამის თვალსაზრისს.

იურიდიული დახმარების სამსახური

გამოცემა მომზადებულია მედიის განვითარების ფონდის მიერ